საინფორმაციო ფურცელი:
„სადებეტო ბარათი და საკრედიტო ბარათი“

მსგავსებები

ორივე ბარათს სტანდარტული ზომა (85 მმ x 54 მმ) და მომრგვალებული კუთხეები აქვს. ორივე ბარათის წინა მხარეს გამოსახულია ბარათის მფლობელის სახელი, გვარი და 16–ნიშნა ბარათის ნომერი. ორივე ბარათზე დატანილია მოქმედების ვადა – ის გიჩვენებს, თუ რომელ თარიღამდე შეძლებ ბარათით სარგებლობას. ბარათის უკანა მხარეს მოცემულია 3-ნიშნა უსაფრთხოების (CVV) კოდი, და ასევე შესაძლებელია მოცემული იყოს ბარათის მფლობელის ხელმოწერა. ზოგიერთ ბარათზე (მაგ. AMEX-ის ტიპის ბარათზე) უსაფრთხოების კოდი შეიძლება 4-ნიშნა იყოს. უსაფრთხოების კოდს, როგორც წესი, ონლაინ გადახდების დროს უთითებ, და ის არავის უნდა გაანდო.

ორივე ბარათს ასევე მოჰყვება პინ–კოდი, რომელიც თავდაპირველად დალუქული კონვერტით და/ან sms-ით გადმოგეცემა, და რომელიც ანგარიშიდან თანხის განაღდების ან მაღაზიაში რაიმეს შეძენისას პოს-ტერმინალზე გატარების დროს შეგიძლია გამოიყენო. შენ უკვე კარგად იცი, რომ პინ–კოდს უნდა მოუფრთხილდე!

ზოგადად, უსაფრთხოების მიზნით, ბარათებზე ჩართულია თანხის მოხმარების სხვადასხვა ლიმიტები, მაგალითად:

1 დღის განმავლობაში 1 მომხმარებლის მიერ ბანკომატიდან თანხის განაღდების ლიმიტი – ანუ იმ თანხის შეზღუდვა, რომლის ბანკომატით განაღდებაც ერთ მომხმარებელს 24 საათის განმავლობაში შეუძლია.

24 საათში გარკვეული რაოდენობის, მაგალითად, 10 უკონტაქტო ტრანზაქციის შესრულების ლიმიტი – „უკონტაქტო“ ტრანზაქცია ისეთი ტრანზაქციაა, რომლის დროსთან საკმარისია ბარათის მხოლოდ ტერმინალთან მიახლოება, და პინ–კოდის მითითება არ არის საჭირო. ამ შეზღუდვის მიხედვით, 1 დღის განმავლობაში ვერავინ შეძლებს უკონტაქტო ტრანზაქციის 10–ზე მეტჯერ შესრულებას.

პროდუქტის შეძენის დროს უკონტაქტო ბარათით, ანუ პინ–კოდის აკრეფის გარეშე, მხოლოდ გარკვეულ თანხამდე, მაგალითად, 45 ან 50 ლარამდე ტრანზაქციის შესაძლებლობა – ეს ნიშნავს, რომ მომხმარებელი ამ თანხაზე მეტი ღირებულების ტრანზაქციის განხორციელებას ვერ შეძლებს პინ–კოდის აკრეფის გარეშე.

საინფორმაციო ფურცელი:
„სადებეტო ბარათი და საკრედიტო ბარათი“

სადებეტო ბარათები

სადებეტო ბარათი ყველაზე გავრცელებული საბანკო ბარათია, რომელიც საშუალებას გაძლევს გამოიყენო შენს მიმდინარე ან საბარათე ანგარიშზე არსებული თანხა. სადებეტო ბარათით შეგიძლია ბანკომატით გაანაღდო თანხა, განახორციელო ინტერნეტ-გადახდები და პოს-ტერმინალის საშუალებით გადაიხადო რაიმე ნივთის/მომსახურების ღირებულება. ბანკომატიდან თანხის განაღდებისას - და ხშირ შემთხვევაში, რაიმეს შეძენის დროსაც - უნდა მიუთითო პინ–კოდი.

სადებეტო ბარათი არ არის სასესხო პროდუქტი, ანუ, მას არ იღებენ თანხის სესხების მიზნით. თუმცაღა, სადებეტო ბარათზე ზოგიერთი ბანკი გაძლევს საშუალებას გააააქტიურო ე.წ. „ოვერდრაფტი“ – ანუ ფუნქცია, რომლის მიხედვითაც, შეძლებ გარკვეული თანხის ფარგლებში დახარჯო უფრო მეტი, ვიდრე ანგარიშზე გაქვს; თუმცა შემდეგ, ჩვეულებრივი სესხივით, მოგიწევს გამოყენებული ფულის და ზემოდან მასზე დარიცხული პროცენტის დაბრუნება.

ძალიან მარტივად, სადებეტო ბარათის გამოყენება ნიშნავს საკუთარი თანხის ხარჯვას ბარათის მეშვეობით. საკრედიტო ბარათი კი პირიქით, ბანკის თანხაა, რომელიც სესხად გადმოგეცემა.

სადებეტო ბარათის გამოყენებისას, როგორც წესი, გიწევს ნაკლები საკომისიოების გადახდა, ვიდრე საკრედიტო ბარათის გამოყენებისას.

საკრედიტო ბარათები

საკრედიტო ბარათი სასესხო პროდუქტია, რომელიც საშუალებას გაძლევს ბანკიდან გარკვეული თანხა ისესხო იმისთვის, რომ მაღაზიაში/ინტერნეტით შეიძინო ნივთი, ან თანხა ნაღდი ფულის სახით გამოიტანო.

თუ რაიმეს შეძენა გსურს, მაგრამ მიმდინარე ანგარიშზე ამ დროს არ გაქვს საკმარისი თანხა, შეგიძლია ამ ნივთის საფასური საკრედიტო ბარათით დაფარო.

საკრედიტო ბარათზე არის დაწესებული ე.წ. ლიმიტი, რომელიც განსაზღვრავს, თუ რა თანხის სესხება შეუძლია მომხმარებელს. ლიმიტი თავიდანვე მომხმარებელთან შეთანხმებით დგინდება.

დაიმახსოვრე, რომ როგორც წესი, თვის ბოლოს მოგიწევს ნასესხები თანხის ბანკისთვის დაბრუნება, და ამასთან, პროცენტის გადახდა, ვინაიდან საკრედიტო ბარათი სესხის ნაირსახეობაა და ბანკი მას ისევე უყურებს, როგორც, მაგალითად, სამომხმარებლო სესხს.

საკრედიტო ბარათი შეიძლება არ მოგცეს ბანკმა (ისევე როგორც სხვა ნებისმიერი ტიპის სესხი), თუ ის არ არის დარწმუნებული, რომ შეძლებ მის გადახდას (მაგ., არ გაქვს შემოსავალი, საკრედიტო ბიუროს მონაცემებით ჩანს რომ სესხებს დროულად არ ფარავ, ა.შ.)
საკრედიტო ბარათიდან ფულის ბანკომატით განაღდება გაცილებით უფრო ძვირია, ვიდრე სადებეტო ბარათიდან. თუმცა, თუ საკრედიტო ბარათით, სადებეტოს მსგავსად, შეძლებ ნივთის საფასური პირდაპირ გადაიხადო მაღაზიაში ისე, რომ არ მოგიწევს საკომისიოს გადახდა.
საკრედიტო ბარათზე შესაძლოა შეთავაზებული იყოს ფასდაკლება და ე.წ. „ქეშბექის“ (cashback) ფუნქცია, რაც გულისხმობს, რომ წახალისების მიზნით, ყოველი გადახდისას, მომხმარებელს მცირე თანხა უკან უბრუნდება.